



## მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 იანვარი, 2016 წელი

დრო: 17:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
2. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
3. ირაკლი მჭავანაძე - სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
4. ალლა გამახარია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
5. ალექსანდარა კალატოზიშვილი - ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“
6. ნაირა ბეჰიევი - „კავკასიური მოზაიკა“
7. ნატო ბაჩიაშილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
8. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
9. გიორგი შიომშვილი - კავკასიური სახლი -საქართველო
10. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“
11. ალუ გამახარია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
12. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
13. ანა შენგელია - „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“
14. ლალი ოშიაძე - მეგობრობის ხიდი ქართლოსი
15. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
16. გიორგი ჭილაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

## განსახილველი საკითხები:

1. ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფის 2016 წლის პრიორიტეტული მიმართულებების და გეგმების განხილვა
2. (EaP CSF) ბრიუსელის სამდივნოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი
3. პრეზენტაცია ეროვნულ პლატფორმაში დაგეგმილი სიახლეების შესახებ, ლაშა ტულუში, პლატფორმის თავმჯდომარე
4. სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო დღის წესრიგი.

შეხვედრის დასაწყისში, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ მიმოიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები და აღნიშნა, რომ პლატფორმის მთელი წლის განმავლობაში ექნება საშუალება აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით* გათვალისწინებული შესაძლებლობები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს. მათ შორის მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ კოფერენციაში, რომელსაც ასევე დაესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, გამართოს სექტორალური შეხვედრები, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებთან დისკუსიისა თუ მრგვალი მაგიდების ფორმატში საკითხების განხილვას. მან ასევე გააცნო რეგიონალური წარმომადგენლობების დაარსების ინიციატივა, რაზეც შეთანხმება ამ ეტაპზე მიღწეულია და ჩამოყალიბებულია მათი ლოკაციები, თუმცა კონკრეტული ორგანიზაციების შერჩევაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ეკა გეგეშიძემ დამსწრეებს გააცნო მიმდინარე კვლევის წინასწარი შედეგები, რომელიც ეხება საქართველოს საგანმანათლებლო სექტორის პრობლემებს საქართველოში. კვლევა ხორციელდება „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო“-სა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ანალიტიკის ასოციაციის მიერ. კვლევის ავტორები არიან ქალბატონი ეკა გეგეშიძე და ბატონი გიორგი ჭილაძე.

როგორც ქალბატონმა ეკამ, აღნიშნა კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რამდენიმე ფუნდამენტური პრობლემა, მათ შორის: პროფესიულად არა სათანადო დონზე შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია, მოსწავლის ზოგადი ცოდნის დონისა და უნარების დაბალი მაჩვენებელი, სკოლის მენეჯმენტის საბჭოთა დროს დამკვიდრებული მმართველობითი სტილი და სხვა. საბოლოოდ კი კვლევამ ცხადყო, რომ *საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სათანადო უნარ-ჩვევების გამოიმუშავებას და ცოდნის მიწოდებას*. კვლევის ფარგლებში ასევე შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები.

პრეზენტატორმა აღნიშნა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჩართულობა და ჯგუფის წევრებს შესთავაზა კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა

სამოქალაქო სექტორის ინიციატივების ადვოკატირებისთვის. თავის მხრივ, ჯგუფის წევრებმა მზაობა გამოხატეს პროცესებში ჩართვისათვის, ჯგუფის კოორდინატორმა დამსწრეებს შესთავაზა მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო ადნიშნული საკითხის ლობირება.

ჯგუფის წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს ბრიუსელის სამდივნოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსი. კოორდინატორმა, აქტიურობისკენ მოუწოდა და შესთავაზა საზღვარგარეთ კონტაქტების გამოყენება, რაშიც საჭიროების შემთხვევაში, აქტიურ დახმარებას თავად გაუწევს მსურველ ორგანიზაციებს.

ჯგუფის კოორდინატორმა ასევე მიულოცა ფონდი „სოხუმი“-ს წარმომადგენელს, ქალბატონ ალლა გამახარას, კიევის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე ჩამოყალიბებული კონფლიქტების მოგვარების ქვეჯგუფის კოორდინატორობა.

ქალბატონმა ალლამ, მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს და მოკლედ მიმოიხილა კიევის ფორუმის შედეგები. შეხვედრაზე ასევე გადაწყდა, რომ აირჩეს მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შექმნილი კონფლიქტების ქვეჯგუფის კოორდინატორი ელექტრონული გზით.

ასოციაცია „თანხმობის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა, იულია ხარაშვილმა დააყენა გენდერულ საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნის ინიციატივა, რამდენადაც მთავრობის სტრატეგიაში დიდი წილი, სწორედ ადნიშნულ საკითხს ეხება. ასევე „ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს“ წარმომადგენელმა ბატონმა, გიორგი ჭილაძემ ჯგუფს წარუდგინა განათლებისა და მეცნიერების ქვეჯგუფის შექმნის იდეაც. ჯგუფის კოორდინატორმა, ბატონმა ნუკრიმ მხარდაჭერა გამოხატა ბატონი გიორგის ინიციატივისადმი და განაცხადა, რომ უახლოეს საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარადგენს ადნიშნულ იდეას.

ქვეჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით, „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრის“ წარმომადგენელმა, ქალბატონმა ალექსანდრა კალატოზიშვილმა, გააჟღერა იდეა ქვეჯგუფების შექმნისას განისაზღვროს არა მხოლოდ ქვეჯგუფის სტრუქტურა და სამოქმედო პრიორიტეტები, არამედ ანგარიშგების ვალდებულებაც და ქვეჯგუფის კოორდინატორმა წინასწარ მომზადებული ანგარიში წარადგინოს საერთო კრებაზე. მან აქვე გაახმოვანა უკრაინის მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის სურვილი და მზაობა ითანამშრომლოს საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფთან და ჯგუფის წევრებს შესთავაზა ამ შესაძლებლობის გამოყენება.

ქალბატონმა იულია ხარაშვილმა, სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ინიციატივა პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფი, როგორც კოალიცია ჩაერთოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. შესაძლებლია, ადნიშნული განხორციელდეს, როგორც მემორანდუმის გაფორმებით ან სხვა ტიპის თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბებით, რათა პლატფორმამ უფრო აქტიურად და ეფექტიანად ითანამშრომლოს პარლამენტთან.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე, ჯგუფის წევრებმა განიხილეს სამუშაო გეგმა, გადაწყდა, რომ შეხვედრაზე ადნიშნული მოსაზრებების ჩამატების შემდეგ სამოქმედო გეგმის დოკუმენტი გადმოიგზავნოს სამუშაო ჯგუფის ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში და მოხდეს მისი დამტკიცება.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.